№2035 2015 წლის 23 სექტემბერი ქ. თბილისი

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრმა, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებულ „საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამის“ მედიატრენინგში ქართველი ჟურნალისტების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მისთვის გამოყოფილი 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი